# საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

## შინაარსი

*თავი I. ზოგადი დებულებები ..... 4*

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ..... 4

მუხლი 2. ჩარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები ..... 5

მუხლი 3. ჩარიცხვის წინაპირობების განსაზღვრა ..... 6

*თავი II. ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ..... 6*

მუხლი 4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის მიღების საფუძვლები ..... 7

მუხლი 5. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმირების ვალდებულება ..... 7

მუხლი 6. აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება ..... 7

მუხლი 7. აბიტურიენტთა ჩარიცხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ..... 8

*თავი III. ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ..... 9*

მუხლი 8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების საფუძვლები ..... 9

მუხლი 9. სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭება ..... 10

მუხლი 10. მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების გამოცხადება ..... 11

მუხლი 11. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი ..... 12

მუხლი 12. გამოცდასთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენა და განხილვა ..... 12

მუხლი 13. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება ..... 13

მუხლი 14. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ..... 13

*თავი IV. გარე და შიდა მობილობის წესი ..... 14*

მუხლი 15. გარე მობილობის უფლების მქონე პირი ..... 14

მუხლი 16. სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები ..... 15

მუხლი 17. გარე მობილობის უფლების შეზღუდვა ..... 16

მუხლი 18. გარე მობილობისთვის გამოცხადებული ადგილების რეგისტრაცია ..... 16

მუხლი 19. მობილობით ჩარიცხვის უფლება ..... 17

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა .....18

მუხლი 21. სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.....19

მუხლი 22. შიდა მობილობის პროცედურა და პირობები .....20

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის დადგენა.....21

*თავი V. ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე.....21*

მუხლი 24. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები.....21

მუხლი 25. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა .....24

*თავი VI. დასკვნითი დებულებები.....24*

მუხლი 26. ცვლილებების შეტანის წესი .....25

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის, აგრეთვე სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პირობებს.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენთა მიღება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

2.1 თანაბარი ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა: სტუდენტთა მიღების შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნება აკადემიურ დამსახურებას და წინასწარ, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. აპლიკანტთა შერჩევის დროს დაუშვებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით;

2.2 გამჭვირვალობა და საჯაროობა: ყველა მოთხოვნა, ვადები, საფასური და შერჩევის მეთოდები წინასწარ ქვეყნდება საჯაროდ;

2.3 დამსახურება და აკადემიური სტანდარტების შესრულება: აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ, რომ მათ აქვთ საკმარისი ცოდნა და შესაბამისი კვალიფიკაცია სწავლის გასაგრძელებლად, აგრეთვე, აქვთ ენობრივი ცოდნა და ჩაბარებული აქვთ სათანადო გამოცდები;

2.4 სამართლებრივი შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან: მიღების/ჩარიცხვის პროცედურები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას;

2.5 სამართლიანობა და მიუკერძოებლობა: ყველა აპლიკანტის მიმართ გამოიყენება ერთი და იგივე შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები. დაუშვებელია მიკერძოებულობა შერჩევის პროცესში;

2.6 სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურება: სტუდენტთა შერჩევის პროცედურა შემუშავებულია და მიმდინარეობს ისე, რომ მოსახერხებელი და მკაფიო

იყოს აპლიკანტებისთვის. აპლიკანტები დროულად იღებენ შეტყობინებას მიღების გადაწყვეტილებებისა და შემდგომი ნაბიჯების შესახებ;

2.7 ავთენტური ინფორმაცია: აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ზუსტი, უტყუარი დოკუმენტაცია. არასწორი ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია გააუქმოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურას;

2.8 შესაძლებლობებისა და რესურსების შესაბამისობა: ჩარიცხულ პირთა რაოდენობა შეესაბამება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რესურსებს და თავსებადია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან;

2.9 უწყვეტი გაუმჯობესება: მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ხდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში მიიღება ჩარიცხვის პროცედურების მოდიფიცირების გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.

## მუხლი 2. ჩარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი შეიძლება ჩაირიცხოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატი შეიძლება ჩაირიცხოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

4. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისში შიდა და გარე მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

### მუხლი 3. ჩარიცხვის წინაპირობების განსაზღვრა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად განსაზღვრავს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებ წინაპირობებს.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გასაუბრება როგორც დაშვების წინაპირობა.

## თავი II. ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე

## მუხლი 4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის მიღების საფუძვლები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საბკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების და სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

## მუხლი 5. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმირების ვალდებულება

ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 5 სექტემბრამდე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს იმ პროგრამების სავარაუდო ჩამონათვალს, რომელზეც ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი გამოაცხადებს მომდევნო სასწავლო წლისათვის მიღებას, ჩასაბარებელი საგნების მითითებით.

## მუხლი 6. აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება

1. აბიტურიენტთა მიღების მიზნით, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის პირველი დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ფორმით ავსებს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია ანკეტაში ასახოს ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლებზეც ანკეტის წარდგენის დროისათვის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

## მუხლი 7. აბიტურიენტთა ჩარიცხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიეტთა ჩარიცხვა ხორციელდება აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე.
2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე აფორმებს ხელშეკრულებებს ჩარიცხულ პირებთან.
3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისში ჩარიცხვის მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრულ ვადებში. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
4. აბიტურიენტის ჩარიცხვა ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
5. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა

არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6. ის პირი, რომელიც შესულია სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს ვებსტერ უნივერსიტეტ თბილისს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მხედველობაში მიღებით დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა ვებსტერ უნივერსიტეტ თბილისში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

## თავი III. ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე

### მუხლი 8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების საფუძვლები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდასა და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე წარმატებით გადალახა

კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ჩაატაროს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე, ისე საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით ჩააბარა სამაგისტრო გამოცდა/გამოცდები.

4. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე აქტებით და სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

## მუხლი 9. სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭება

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი სამაგისტრო გამოცდას ანიჭებს კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლია.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების ან არმინიჭების თაობაზე.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ვალდებულია კოეფიციენტები მიანიჭოს მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.

4. საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი იცავს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამი ნაწილდება საერთო სამაგისტრო გამოცდასა და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე;

4.2 საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტები ნაწილდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილზე;

4.3 საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილს მიანიჭოს კოეფიციენტი - არანაკლებ 5-ისა;

4.4 განსაზღვროს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისთვის მინიჭებული კოეფიციენტების საერთო ჯამი, რომელიც არანაკლებ 35-ისა და არა უმეტეს 65-ის ტოლია.

5. საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამი ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ ენიჭება მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.

## მუხლი 10. მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების გამოცხადება

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია შეცვალოს/დაამატოს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ანკეტაში დაფიქსირებული ინფორმაციის შეცვლის, ასევე ახალი სამაგისტრო პროგრამის დამატების/წარდგენის შემთხვევაში სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს განახლებული ანკეტას და ანოტაციას სამაგისტრო გამოცდის წლის:

3.1 1 ივნისიდან 15 ივნისამდე;

3.2 5 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

## მუხლი 11. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ჩაატაროს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე, ისე საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ვებსტერ უნივერსიტეტ თბილისში, რექტორის აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

4. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტი და შესაბამისი შედეგები ქვეყნდება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ვებგვერდზე.

## მუხლი 12. გამოცდასთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენა და განხილვა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი.

2. მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადს წარადგენს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ დადგენილ ვადაში.

3. საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საპრეტენზიო საბჭო.

4. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.

## მუხლი 13. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედგეების გამოქვეყნების შემდეგ ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.
2. სამაგისტრო გამოცდების რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ჩააბარა წარმატებით.

## მუხლი 14. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
3. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ დიპლომს.

4. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება ვებსტერ უნივერსიტეტ თბილისსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, იქმნება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ.

6. მაგისტრანტობის კანდიდატი ხდება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მაგისტრანტი ამ მუხლით გათვალისწინებული რექტორის ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ.

## თავი IV. გარე და შიდა მობილობის წესი

### მუხლი 15. გარე მობილობის უფლების მქონე პირი

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისში მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისთვის შეჩერებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე, სხვა პირს, რომელსაც მობილობის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

## მუხლი 16. სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

1.1 პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

1.2 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

1.3 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

1.4 ფინანსური დავალიანება ან მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლები მითითებულია ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის შესაბამის შიდა-სამართლებრივ აქტებში.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი

უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

## მუხლი 17. გარე მობილობის უფლების შეზღუდვა

1. გარე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

2. გარე მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. გარე მობილობის უფლება პირს წარმოეშობა ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საგანი/საგნები ერთიანი ეროვნული გამოცდის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია მიმართოს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და, მასთან შეთანხმებული ფორმით, გამოითხოვოს ინფორმაცია შიდა მობილობის უფლების მქონე პირთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის თაობაზე.

## მუხლი 18. გარე მობილობისთვის გამოცხადებული ადგილების რეგისტრაცია

1. სტუდენტების გარე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების მართვის სისტემის

უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში შესაძლოა გამოცხადდეს რიგგარეშე (დამატებითი) მობილობა სსიპ განათლების მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, გამარტივებული წესით.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა მის მიერ დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

## მუხლი 19. მობილობით ჩარიცხვის უფლება

1. თუ ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ჩარიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

3. მობილობის მსურველი მოიპოვებს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით.

4. მობილობის მსურველი, რომელიც ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით ვებსტერ უნივერსიტეტ თბილისს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

## მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის საგანმანათლებლო პროგრამით.
5. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
6. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უფლებამოსილია საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნებისთვის

განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველი პირის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ასეთი თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

7. აღიარება ფორმდება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

8. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

## მუხლი 21. სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების გამოცემა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს სტუდენტი ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

2. ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.

3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა პირველ ოქტომბრამდე შემოდგომის ან პირველ მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. რექტორის ბრძანება გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გადადის ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორი გამოსცემს ამ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებას, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან ერთი კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარედგინება მართვის სისტემას 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

## მუხლი 22. შიდა მობილობის პროცედურა და პირობები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი შიდა მობილლობას აცხადებს წელიწადში ორჯერ.

2. შიდა მობილობის ვადები და პირობები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

3. შიდა მობილობის მიზნებისთვის, შიდა მობილობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

3.1 განცხადება;

3.2 აკადემიური ტრანსკრიპტი;

3.3 სამოტივაციო წერილი;

3.4 დამატებითი დოკუმენტი, რაც განისაზღვრება რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის დადგენა

1. შიდა მობილობის შემთხვევაში დგინდება საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა და ხდება სტუდენტის მიერ გავლილი შესაბამისი სასწავლო კურსების და მიღებული კრედიტების აღიარება.

2. შიდა მობილობის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის შიდა მობილობით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

3. ინფორმაცია სტუდენტის შიდა მობილობისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ აისახება შესაბამის ელექტრონულ ბაზებში.

## თავი V. ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე

### მუხლი 24. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასაშვებია:

1.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

1.2 საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

1.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

1.4 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული). უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

2.1 მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.2 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო

ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

2.3 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული). უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში;

2.4 მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

2.5 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული პირები უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას არანაკლებ B1 დონეზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის 1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

### მუხლი 25. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვას ერთი წლის ვადაში ახორციელებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორის აქტი აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი, თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეჩერების შემთხვევაში, ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში ინფორმაციას წერილობით აწვდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

## თავი VI. დასკვნითი დებულებები

## მუხლი 26. ცვლილებების შეტანის წესი

ამ წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის შიდა-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

Jean Paul Louis Van Marissing

Rector

Webster University